

პროექტი N19

mBnB კლასის ალფაბეტურ-ბალანსური კოდების შეცდომების კორექტირების შესაძლებლობების გამოკვლევა

პროექტის ხელმძღვანელი - ვ. ნანობაშვილი

დაფინანსება - 8100 ლარი

ნაშრომში ჩატარებულია ტელეკომუნიკაციის ბოჭკოვან-ოპტიკურ სისტემებში ფართოდ გამოყენებული ბიიმპულსური და 2B4B კლასის კოდების შეცდომების კორექტირების შესაძლებლობების კვლევა. ნაპოვნია კორექტირების ალბათობები, გამოვლენილია საუკეთესო კოდები შეცდომების კორექტირების თვალსაზრისით. შემოთავაზებულია ახალი მეთოდი, რომლის გამოყენება მნიშვნელოვნად ზრდის კორექტირების ალბათობას, შეფასებულია მისი ეფექტურობა ყველა განხილული კოდისთვის.

პროექტის თემატიკაზე წარდგენილ იქნა ორი მოხსენება საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკურ კონფერენციებზე (“ახალი ტექნოლოგიები თანამედროვე მრეწველობაში”. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 29-30 აპრილი 2010წ. და “ენერგეტიკა: რეგიონული პრობლემები და განვითარების პერსპექტივები”. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, 21-22 მაისი 2010წ.), რომლებიც გამოქვეყნდა ამ კონფერენციების შრომებში.

პროექტში მიღებული შედეგები შეტანილია საზღვარგარეთის მაღალრეიტინგულ ჟურნალ Electronics Letters-ში გასაგზავნ სტატიაში.